# სახალხო გაზეთი

№ 645 — სამშაბათი, 10 ივლისი, 1912 წ. — № 645

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები—პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



### იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.
**სახ. გაზ. კანტორა.**

### სახალხო გაზეთი
### სურათებიანი დამატებით
მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

**წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად I წ. „გრდემლს“.**

## წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
## თვეში ღირს — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 პაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

**ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა** აცხადებს, რომ კვირას, 15 ივლისს,

### იაკობ ს. გოგებაშვილის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, პანაშვიდი 11 საათზე.
(2—1381 2)

### ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

საგანგებო საზოგადო კრების გაგრძელება **ახალი კლუბის** წ ე ვ რ თ ა მოხდება

### ოთხშაბათს, 11 ივლისს:

განსახილველი საგნები: საზამთრო შენობის აგება და ამის ხარჯი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
(1—1357—1)

### ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციო-ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| [illegible] | **ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ჩიქოიძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>**მალაღაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალოვი რ. პ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| [illegible] | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**სულხკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| [illegible] | **ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| [illegible] | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| [illegible] | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| [illegible] | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.64)

**ექიმი** აბასთუმანში **ე. ი. მინასიანცი**
იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.201)

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—117)

### ტფილისის მიხ. ქალაქის სახელოსნო სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ მოწაფეთა განმეორებითი გამოცდა დანიშნულია 25 აგვისტოს, მისაღები გამოცდა კი 27 აგვისტოს. თხოვნები მიიღება 20 ივლისიდან 20 აგვისტომდე, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, დილის 8—11 საათამდე. თხოვნების ბლანკები უფასოდ იძლევა. (1.548.1)

### ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე აცხადებს,

რომ გიმნაზიის მოწაფეების გამოცდა
დაიწყება მე-3, 4, 5, 6 და 7 კლასებში მარიამობისთვის 20,
„ 1 და 2 „ „ 23,
„ მოსამზადებელ განყოფილებებში „ 25,
მისაღები ეგზამენები პირველ სამ განყოფილებებში „ 25.
სხვა კლასებში გიმნაზიის მოწაფეებთან ერთად.

მოწაფე, რომელიც თავის დროზე არ გამოცხადდება გამოცდაზე, აღარ იქნება მიშვებული ეგზამენებზე. ვისზედაც გასულის 1911/12 წლის სწავლის გადასახადია დარჩენილი, თუ არ გადიხდიან 1 ენკენისთვემდე, გამორიცხულად ჩაითვლებიან.

თხოვნები ახლად შემომსვლელთაგან მიიღება მხოლოდ 15 მარიამობისთვემდე. (6 -1384—1)

### ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება შემდეგი წიგნები:**

- Е. К. Краткій очеркъ исторіи церкви и экзарха за XIX стол. 2 р. 20 к
- Заслуги Грузинскаго монашества и монастырей для отечественной церкви и общества . 30 „
- Давидъ Гареджели и его Лавра 15 „
- Жизнь и подвиги преподобнаго Антонія столпника чуд. Марткопскаго . . . . . 5 „
- Св. Давидъ III возобновитель царь Грузіи . . . . . 5 „
- Назрѣвшій вопросъ (къ 100—лѣтію прис. Грузіи къ Россіи) . 10 „
- Исарловъ. Письма о Грузіи 80 „
- Кипшидзе Гр. Періодическая печать на Кавказѣ . . . . 15 „
- Киріонъ Еп. Культурная роль Иверіи въ исторіи Руси . . . 3—
- Натрошвили. Иверскій Монастырь на Аѳонѣ въ Турціи . 1—
- Ираклій II Царь Грузіи . . 20 „
- Мцхэтъ и его соборъ „Свэти-Цховели“ . . . . . . . 3—
- Обученіе на родномъ языкѣ въ начальныхъ школахъ и его значеніе . . . . . 20 „

**ახალი წიგნები:**

- ძუნწი, კომედია, გ. ერისთ. . 5 „
- „დარვინიზმი“, ნათ. ფანცხ. . 25 „
- ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი. დ. უზნაძე . 75 „
- შ. არაგვისპირ. მეოთხე წიგნი 50 „

**ადრესი:** Тифлисъ О-во распр. Гр. ср. гр насел. (წ. 1141.71)

### საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად **დაიჭრა** 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 334)

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა, № 8, ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს,

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606“ -**
(წლ—1018—305).

**დოქტორი მედიცინისა**
### ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების. სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1 82. (თ. 1037 206)

### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**მღებრიშვილი**—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.

**გრეიცი**—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. 1½ ს.

**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ. პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ერმოლაევი** –ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

**ტერ-ნერსესოვი,** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ, 1—1½ ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ, შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

**გურგენიძე** შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს**
**საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ—1365.5)

**ელექტრონისა და რენტგენის ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**
### მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—57)

**ექიმი** ქალი კბილისა **ნინო რცხილაძე**
20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში** 9—3 საათამდე.

**ექიმი** კბილისა აბასთუმანში **ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—18)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა. (?)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**
სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელდ. **საბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირი- (25—1178—75)

**ექიმი პ. არდაზიანი**
შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.149)


## ტფილისი, 10 ივლისი

**საარჩევნო სამზადისი.** რუსეთის გაზეთები ძრავალ ცნობებს გვაწვდიან იმის შესახებ, თუ რანაირად მიმდინარეობს რუსეთში საარჩევნო სამზადისი. იგივე გაზეთები ბევრს სწერენ ამომრჩევლის გულ-გრილობაზე. რაოდენადმე, რა თქმა უნდა, გულ-გრილობაც არსებობს, მაგრამ უმთავრესი მიზეზი ამომრჩევლის უმოქმედობისა, ჩვენის აზრით, ის არის, რომ არჩევნებში მონაწილეობა ადმინისტრაციის თვალში თითქმის დანაშაულებად გადაიქცა. ყველა ის, ვინც ცხადად არ ემხრობა მთავრობის მიერ მოწონებულსა და მის მფარველობის ქვეშ არსებულ პარტიას, ჰკარგავს „პოლიტიკურ საიმედობის“ ფიზიონომიას, და ეს კი, როგორც მოგეხსენებათ, ბევრს არა სასიამოვნო შედეგს იწვევს ცხოვრებაში. ამასთანა პირობებში ამომრჩეველიც გულ-ჩათხრობილი ჰხდება, აღვილად ვეღარავის უზიარებს თავის აზრს და სიცრუესა და თვალთ-მაქცობას სრულს სიჩუმეს ამჯობინებს... სდუმს ამომრჩეველი, შესცქერის საარჩევნო სამზადისს და უცდის, როგორ დასრულდება უიმისოდ იგი.

ასეთი გაზვიადებული შიში შედეგია დღევანდელ მომენტისა. მიუხედავად ამისა, მაინც საჭიროა ყოველი ღონისძიება მივიღოთ, რომ ავამოძრაოთ ამომრჩეველი, რომელიც დღემდის სხვა და სხვა მიზეზებისა გამო,—ზოგი შიშით, ზოგიც გულ-გრილობით,—გაჩუმებულია.

დღეს უნდა გაკეთდეს ის, რასაც ჯერ-ჯერობით ჩვენგან მოითხოვენ. საჭიროა, ამომრჩევლებმა სათანადოდ შემოწმებული განცხადებანი შეიტანონ ქალაქის თვითმმართველობაში. ყველამ, ვისაც კი უფლება აქვს, უნდა ისარგებლოს ამ უფლებით.

პოლიტიკურ სიმწიფეს მხოლოდ ის ადამიანი იჩენს, რომელიც არა ჰკარგავს თავის უფლებას, რაც უნდა მცირე იყოს იგი უფლება...

## ქართული პრესა

ქუთაისის გაზეთი „ჩვენი ცხოვრება“ ჩვეულებრივი „საბუთიანობით“ ცდილობს ქართველი დეპუტატების დაცვას იმ „სიყალბეთა თხზვისაგან“, რითაც „სახალხო გაზეთსა“ და „ქართლს“ ჰსურვებია „მათი ჩაწიხლვა“. ამ სამი დღის წინად „ქართლიდან“ გადმოვბეჭდეთ მეთაურის ის ადგილი, სადაც ჩვენებური დეპუტატების მოღვაწეობა იყო აღნუსხული და დაფასებული. ეს დიდად არ მოსწონებია „ჩვენი ცხოვრების“ რედაქციას და გორის გაზეთთან კამათის დროს, გზა და გზა, ჩვენც გვიკიჟინებს ხსენებულ დეპუტატების მოღვაწეობის უგულებელ ყოფას, იმ დეპუტატებისა, რომელნიც თურმე „მართლა მედგარი დამცველი და მოჭირნახულე“ ყოფილან ჩვენის ერისა.

რითი გამოხატულა მათი „მართლაც მედგარი დამცველობა და ჭირისუფლობა“ ქართველი ერისა? რადგან ჩვენ და „ქართლს“ ეს არ გვცოდნია, ან თუ გვცოდნია, განგებ დაგვიმალავს ქართველი გლეხისათვის, რათა „სხვისი ჩაწიხლვით თავისი თავი გამოგვეყვანა წრფელ დემოკრატად“, ამიტომ დეპუტატების დამცველი გაზეთი თვით აღნუსხავს მათ ღვაწლს:

„აბა როგორ არ იციან, რომ ჩვენ დეპუტატებს არც ერთი საკითხი არ დაუტოვებიათ ჩვენი ხალხის უყურადღებოდ: სასკოლო საკითხში მათ შეკითხვაც შეიტანეს მაგ. მასწ. კუსტინკოვიჩის (?) შესახებ... მოვიყვანთ მეორე საკითხსაც: დროებით ვალდებულ გლეხების და ხიზნების გათავისუფლება მებატონეთა ულისაგან...

ჩვენმა დეპუტატებმა თავის დეპუტატობის პირველ წელშივე შეიტანეს დროებით ვალდებულ გლეხების და ხიზნების შესახებ კანონ-პროექტი სახ. სათათბიროში რომლითაც თხოულობდნენ გლეხებს უსასყიდლოდ გადასცემოდა ის მიწები, რომელიც მათ დღეს სალალოდ აქვთ მიცემული მებატონეთაგან. სამი წელიწადი იბრძოლეს, რომ კანონ-პროექტი მიეღებინებინათ შავრაზმელ სახ. სათათბიროსათვის. ბოლოს მთავრობაც იძულებული შეიქნა მათი დაჟინებული მოთხოვნისთვის ანგარიში გაეწია და თავისი კანონ-პროექტი შეიტანა. მართალია შეკვეცილი, შეზღუდული, მაგრამ მაინც უფრო სასარგებლო ჩვენი გლეხებისთვის, ვინემ დღევანდელი მდგომარეობაა.

სახელმწიფო სათათბირომაც კანონ-პროექტი მიიღო. ეს კანონ-პროექტი აკანონებს მიწის სავალდებულო გამოსყიდვას გლეხებისაგან. ფულს ამჟამად იღებს ხაზინა და შემდეგ 38 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად ახდევინებს გლეხებს.

ეს არ იცის, „ქართლის“ რედაქციამ. ან და იცის, მაგრამ თავის მკითხველ გლეხებს უმალავს.

ორივე შემთხვევაში ცხადია, მას სიმართლე არ აინტერესებს, არამედ სულ სხვა მოსაზრება ამოქმედებს.

აი, კიდევ ჩვენმა დეპუტატებმა განაცხადეს ეკლესიის საკითხში, რომ ეპისკოპოსების და ავტოკეფალიის მცველობა მათ არ უკისრიათ, მაგრამ ქართულ ეკლესიის სიმდიდრეს რომ იტაცებენ და ენას კრძალავენ, ამის წინააღმდეგ მთელი თავისი ძალღონით გაილაშქრებენ. როგორც ვხედავთ, ისინი ერს და მის განძს იცავენ და არა საეკლესიო ბატონთ“.

ასეთია ის „მოწმობა“, რომელსაც გაზ. „ჩვენი ცხოვრება“ აძლევს თავის მძლე ფრთეთა ქვეშ შეყუჟულს ქართველ დეპუტატებს. ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი ერის „მართლა მედგარ დამცველთ და მოჭირნახულეთ“ ერთი შეკითხვა შეუტანიათ მასწ. კუსტინოვიჩის საქციელის შესახებ, ერთი განცხადება ქართული ეკლესიების სიმდიდრეთა ტაცებისა და ერთიც კანონ-პროექტი დროებით ვალდებულ გლეხთა შესახებ, რომელიც სათათბირომ არ მიიღო და რომლის ნაცვლად მთავრობამ („ქართველი დეპუტატების დაჟინებული მოთხოვნით“) „შეკვეცილი და შეზღუდული“ კანონ-პროექტი შეიტანა.

აი მთელი „ფორმულიარნი სპისოკი“ ჩვენებური დეპუტატებისა თვით მათი დამცველი „ჩვენი ცხოვრების“ მიერ დადასტურებული და ბეჭედ დასმული. ჩვენ აქ არც მიგვიმატებია რამ და არც გამოგვიკლია.

ახლა ვკითხოთ პატივცემული გაზეთის რედაქციას: ესაა ის „დიდი ამაგი“, რომელიც ხუთი წლის „ჭეშმარიტი მოღვაწეობით“ დასდვეს ჩვენმა დეპუტატებმა ქართველ ერს და რომლის გზა-ჯვარედინებზე ძახილით ყურები გამოგვიჭედეთ შავი ზღვიდან დაწყებული ვიდრე თეთრ ზღვამდე?

რა თვალსაჩინო შედეგი მოჰყვა ჩვენი ცხოვრებისათვის თქვენ მიერ ასეთი რიხით ნახსენებს, ქართველთა დეპუტატების შეკითხვას კუსტინოვიჩის საქციელისა და ეკლესია-მონასტრების ძარცვის შესახებ? რაც შეეხება დროებით ვალდებულ გლეხების მდგომარეობის გაგაუმჯობესებელ კანონ-პროექტს, რომელიც ჩვენებური დეპუტატების „დაჟინებული მოთხოვნით“ დღეს კანონად იქცა, ამის შესახებ სჯობდა სრულიად გაჩუმებულიყავით, რადგან იგი დიდი პლიუსი არაა თქვენგან შეყვარებულ დეპუტატთა მოღვაწეობისათვის.

მაშ ასე, ერთი შეკითხვა, მთავრობის ერთი კუდმომწვარი კანონპროექტი და ერთი განცხადება!

ეს არის ჩვენებური დეპუტატების ის „დიდი საქმიანობა“, რომლის დროსაც მათ „არც ერთი საკითხი არ დაუტოვებიათ ჩვენი ხალხის უყურადღებოდ“ და რომლის უცოდინარობასაც ჩვენ გვიკიჟინებთ?!

ბარაქალა მათ „მოღვაწეობას“ და დიდება თქვენს ვექილობას!

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **წირვა და პანაშვიდი ი. გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად.** კვირას, 15 ივლისს, საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის თაოსნობით, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, ხოლო პანაშვიდი—11 საათზე.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გარშემო.** 9 ივლისის 2 საათამდე ქალაქის გამგეობის სასტატისტიკო ბიურომ საარჩევნო სიებში შეიტანა: რუსულ კურიიდან—737 კაცი, ხოლო საერთოდან—623.

— ქალაქის გამგეობამ ტფილისში მყოფ ელჩებს სთხოვა, გამოუგზავნოს იმ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების სია, რომელნიც ამ ჟამად ტფილისში სცხოვრობენ, რათა ისინი შეცდომით საარჩევნო სიაში არ იქმნენ შეტანილნი.

— ქალაქის გამგეობის შეკითხვის გამო გუბერნატორმა განმარტა, რომ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ რუსულ კურიიდან: მართლმადიდებელთ, ლიუტერანთ და სტაროობრიადცებს“.

✦ **სათათბიროს არჩევნები.** ტფ. გუბერნიის ახალციხის ქალაქის სტაროსტამ აცნობა, რომ 23 ივნისიდან იგი შეუდგა მეოთხე სათათბიროს წევრების ამომრჩეველთა სიების შედგენას.

✦ **ტფ. გუბერნატორმა საქალაქო დებულებათა** § 83 1 მუხლის ძალით ტფ. ქალაქის მოურავს წინადადება მისცა, შეაჩეროს ქალაქის საბჭოს ამა წლის 14 ივნისის დადგენილება, რომლითაც გადაწყვეტილი იყო შტატს გარეშე დარჩენილ 15 მეფარნისათვის შემწეობის მიცემა, რომელიც უკანონოდ ითვლება, როგორც არა ფარულ კენჭის ყრით გადაწყვეტილი, რაც 73 მუხლს ეწინააღმდეგება.

✦ **ნამესტნიკის კანცელარიამ,** ტფ. გუბერნატორის თხოვნის მიხედვით, ნამესტნიკის საბჭოში განსახილველად შეიტანა საკითხი იმის შესახებ, რომ ყოველ წლის ჯარიმად შემოსულ თანხიდან 20% გადაიდოს მეურნეობისა და სახელოსნო გამასწორებელ ახალშენის კავკასიის საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ **ნამესტნიკის კანცელარია** ტფ. გუბერნატორს შეეკითხა: რა ადგილებში უფრო სასურველია, რომ გაიმართოს სადგურები, რომელნიც ადევნებენ თვალ-ყურს, წყლების ჰორიზონტის გამოცვლასა, მდინარეების და ტბების ადიდებასა, ნიაღვრებსა და სეტყვას; კანცელარია თანაც სთხოვს დაწესებულებებიც აღნიშნოს, სადაც ამისთანა სადგურების გამართვა შეიძლება. ეს წინადადება გამოწვეულია იმით, რომ ტფ. საფიზიკო ობსერვატორიას განზრახული აქვს მოაწესრიგოს საკითხი სოფლების ამ ხრივ დახმარების შესახებ.

✦ **საქართველოს სამხედრო გზაზე თავის ავტომობილზე** დაღუპულ პ. ვ. გრიგორიევის ქვრივმა კავკასიის საგზაო ოლქის უწყების წინააღმდეგ საჩივარი აღძრა, რადგანაც ასეთ საშიშ გზაზე მოაჯირის უქონლობამ გამოიწვია იმის ქმრის დაღუპვა. სადგურ გუდაურთან, სადაც გრიგორიევი დაიღუპა, აპირობენ ძეგლის დადგმას.

✦ **კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტი** ამ ჟამად აშენებს მატყლის დამრთავ-შემღებავ ქარხნის შენობას. შენობა თითქმის დამთავრებულია. ეხლა შეუდგნენ შიგნით გამშვენიერებას და ახალ მანქანების დადგმას.

✦ **ტფ. ტელეფონისა და ტელეგრაფის ახალი შენობა** 8 ივლისს დიდის ამბით აკურთხეს. კურთხევას, სხვათა შორის, ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ვატაცი დაესწრო, რომელმაც კურთხევის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვა.

✦ **მსახიობი იუზა ზარდალიშვილი** მომავალ სათეატრო სეზონისთვის ტფ. დრამატიულს დასში მიიწვიეს.

✦ ამ თვის ბოლოში დასრულდება **სასტატისტიკო-საეკონომიო გამოკვლევა კავკასიის შინა მრეწველობისა;** გამოკვლევის მოხდენა მინდობილი აქვთ: ბ. პ. გელეიშვილს ბანკისა, ალექსანდროპოლის გუბერნიებში და დუშეთის მაზრაში, ბ-ნ ქუთათელაძეს ქუთაისის გუბერნიაში და ბ-ნ მურადიანს ჯავათისა და სამურას ო...ქებში და კუბინის მაზრაში. შეგროვებულ მასალების საერთო და საბოლოო შემუშავება ბ-ნ გელეიშვილს მიენდო.

✦ **კავკასიის ნაძვის შესწავლა.** გუშინ ტფილისიდან გომბორით კახეთს გაემგზავრა ნოვოალექსანდრიის სატყეო-სამეურნეო ინსტიტუტის ასისტენტი ს. ზ. ქურდიანი ამავ ინსტიტუტის სტუდენტ გ. ვ. დალაქიშვილთან ერთად. მათ აზრად აქვს კავკასიის ნაძვი გამოიკვლიონ.

✦ **საშიში ქალი.** 8 ივლისს ანნა ივანეს ასულ პოჩტას, რომელიც პოლიციის ქუჩაზე, სახლში № 11 სცხოვრობს, ჩხუბი მოუვიდა თავის საყვარელ თევდორე ლიუდვიგის ძე ზეიცთან. გაკაპასებულმა ქალმა კაცი აივნიდან, სამ არშინის მანძილიდან, ძირს გადმოაგდო. კაცი მსუბუქად დაშავდა. სამკურნალო დახმარება აღმოუჩინეს.

✦ **კაცის მოკვლა.** 8 ივლისს, საღამოს 10 საათზე, რუბენ გრიგოლის ძე კანდახჩიანცმა კრასილნი ქუჩაზე ოთხის ტყვიით სასიკვდილოდ დასჭრა ტფ. მოქალაქე გიორგი სოსიას ძე ბაბანოვი (ვაჭარი), რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა. კანდახჩიანცი შეიპყრეს. რევოლვერის ნებართვა არ აღმოჩნდა. მოკვლის მიზეზი გამოურკვეველია.

✦ **ტფ. საბოტანიკო ბაღის** დირექტორმა მიწათმოქმედების და მიწათმომწყობ კავკასიის რწმუნებულს სთხოვა, მიწათმოქმედების მთავარ გამგის წინაშე შუამდგომლობა აღძრას, რათა მოწაფეების შენხვა-სწავლების კანონთა მეშვიდე მუხლი შეცვლილი იქმნეს, იმნაირად კი, რომ ბაღში მოწაფე მუშებს წელიწადში 240 მან. დაენიშნოს ჯამაგირად.

✦ ივნისის განმავლობაში ქალაქის სასაკლაოზე დაუკლავთ; მსხვილფეხი საქონელი 5427,—124 ხბო, 18611 ცხვარი და 433 კამეჩი. მოუტანიათ აგრეთვე ფარულად დაკლული ერთი ხბო და ერთი ღორი, რომელიც უვარგისობის გამო დასწვეს. ქალაქს შემოსვლია დასაკლავი 2,270 მან. 88 კაპ.

✦ ივნისის განავლობაში ქალაქის ბაკში ჩამოურეკიათ: 10,580 მსხვილფეხა საქონელი, და 19,623 წვრილფეხა. გაყიდულა: 6,328 მსხვილფეხა და 16,480 წვრილფეხა საქონელი. ქალაქის სასარგებლოდ შემოსულა საქონლის სადგომის გადასახადი 2079 მან. 55 კ.

✦ ქ. ბოსტონში (ჩრდილ. ამერიკა) დანიშნულ ვაჭრობის პალატების საერთაშორისო კონგრესმა ტფ. საბირჟო კომიტეტს სთხოვა გაგზავნოს კონგრესზე თავისი წარმომადგენელი, თანაც თავს იდვას შუამდგომლობა მსურველთა ბილეთების მიყიდვისა.

✦ ტფ. ქიმიურ ლაბორატორიაში მიიტანეს კვასის ნიმუშები; მიხეილის ქუჩაზე მდებარე კარაპეტ აღაბეკოვისა და მადათოვისს კუნძულზე მდებარე პეტროს ბრუტულიანცის კვასის ქარხნებიდან. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ კვასი დამყაყებულია და სასმელად სრულიად არ ვარგა, მათ შესაფერი ოქმი შეუდგინეს.

✦ ქალაქის საექიმო-სასანიტარო ბიუროს ცნობებით, ივნისის განმავლობაში შემდეგი ავადმყოფობა ყოფილა: ქუნთრუშა—4 შემთხვევა, საოფლე—5, სახადი 18, წითელა—6, ყელჭირვება—10, ხუნაგი—3, ყივანახველა—5, ჭირი—1 და წითელა ქარი—1.

✦ 7 ივლისს ტფილისში შეიპყრეს ეჩმიაძინის მცხოვრები გეურქ ამბარცუმას ძე ტატულიანცი, რომელიც სურამში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იყო გადასახლებული და ტფილისში ნებადაურთველად ჩამოვიდა.

✦ 8 ივლისს ტფილისში 8 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა:** საქონლის მომშენებელ ბიუროს მოხსენების თანახმად, მიწადმოქმედების დეპარტამენტის წინაშე შუამდგომლობა აღძრას, რათა გადასდოს 500 მან. კავკასიაში ცხენის მოშენების საკითხის გამოსაკვლევად.

✦ **ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.** დღეს, საღამოს რვა საათისათვის დანიშნულია საზოგადოების სექციის კრება მორიგი კითხვების განსახილველად.

## ბ ო რ ი

✦ **სურამელთა საქმე.** 7 ივლისს ტფ. ოლქის სასამართლოს სესიამ ა. ა. კოროსევის თავჯდომარეობით სურამის საპოლიციო რაზმის ჩაფრად ნამყოფ ალექსანდრე ორჯონიკიძის მოკვლის საქმე გაარჩია. სამართალში მიცემული იყო ექვსი კაცი, სურამის მცხოვრებნი: ვანო მაისურაძე, სამსონ ბებიაშვილი, ზაქრო, ნიკალა და გიორგი მჭედლიშვილები და მიხა ბარბაქაძე. მაისურაძესა და ბებიაშვილს ბრალდებოდათ ორჯონიკიძის მოკვლა თავისივე ხანჯლით, მჭედლიშვილებს მათი მოსყიდვა ნაჩაფრალის მოსაკლავად. ბარაბაქაძეს კი—მკვლელობის ამბავის დამალვა.

სასამართლოში გამოწვეული იყო 48 მოწმე. ბრალდებულებს იცავდნენ ნაფიც ვექილის თანაშემწენი: მაისურაძესა და ბებიაშვილს—შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, მჭედლიშვილებს—ი. ელიაროვი და ბარბაქაძეს—თავ. დ. მაჩაბელი.

ბრალმდებელმა მოითხოვა მაისურაძისა, ბებიაშვილისა და ზაქრო მჭედლიშვილის დასჯა, ხოლო დანარჩენებისა გამართლება.

ვექილებმა შ. მესხიშვილმა, რომელმაც ლამაზი და დასაბუთებული სიტყვა წარმოსთქვა, ი. ელიაროვმა და თავ. მაჩაბელმა ბრალდებულთა სრული გამართლება მოითხოვეს.

სასამართლომ ყველა ბრალდებული უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა. ბრალმდებელმა პროტესტი განაცხადა მაისურაძისა, ბებიაშვილისა და ზაქრო მჭედლიშვილის გამართლების გამო, ამიტომ ისინი ისევ ციხეში დასტოვეს და მათი საქმე პალატაში გაირჩევა.

✦ **საავადმყოფო.** ექიმმა მ. ს. კობერიძემ კერძო საავადმყოფოს გახსნის ნებართვა მიიღო. ჯერ-ჯერობით გაიხსნება სადოსტაქრო განყოფილება. საავადმყოფო მოკლე ხანში დაიწყებს მოქმედებას.

✦ **გაზ. „ქართლი“-ს გამომცემელ ამხანაგობის კრების** გაგრძელება კვირას, 8 ივლისს მოხდა ქალაქის გამგეობის სადგომში. კრებამ განიხილა და დაამტკიცა გაზ. „ქართლი“-ს ხარჯი 1 აპრილიდან 24 ივნისამდე. საკუთარ სტამბის შეძენის საკითხი საბოლოოდ გადაწყდა. ამხანაგობის პაი 25 მან. ღირს. ამხაგობის წარმომადგენლად აირჩიეს: ზ. დ. ქიტიაშვილი, ხაზინადრად ი. დ. კვალიაშვილი, მდივნად მ. ი. ციციშვილი. სარედაქციო კომისიაში აირჩიეს: ქ-ნი ანასტას-ახოშტარია-ერისთავისა, ნ. ლომაური, ი. ცინცაძე, თედო რაზიკაშვილი და კ. ელიოზიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს: თავ. ნ. ა. თუმანიშვილი, ი. ი. ნატროშვილი და მ. კობერიძე. მათ კანდიდატებად: გ. ბეროზაშვილი, თავ. გ. ერისთავი და თავ. გრ. ნ. ამირეჯიბი. რედაქტორს ი. ცინცაძეს კრებამ ჯამაგირად დაუნიშნა 100 მან. თვეში. კრებამ ამორჩეულ პირთ დაავალა, თავიანთ მოვალეობის აღსრულებას ოროშაბათს, 9 ივნისიდან შეუდგნენ. აგრეთვე იზრუნონ საკუთარ სტამბის შეძენისთვის.

✦ **გაზეთი „ქართლი“-ს** ბედი აქეთ ბევრს აინტერესებს. თანამგრძნობთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. გაზეთისა როგორც გორში, ისე სოფლებში დიდად კმაყოფილნი არიან. მუდმივ ხელისმომწერთა რიცხვი იზრდება და იმედია მოკლე ხანში 500-600-დე ავა.

✦ **კლუბი.** საზაფხულო კლუბი სწორედ მშვენიერს ადგილზეა, საქალაქო მიწაზე, ლიახვის პირად. სივრცე საკმარისია. ხანდახან საღამოობით ცივა კიდეც. ერთი უბედურება ის არის, რომ ბაღს არა რწყავენ და მოსეირნეთ გრილ ნიავთან ერთად მტვრის შესუნთქვაც უხდებათ. კლუბში ყოველ კვირა ქართული წარმოდგენები იმართება მსახიობის გ. იმედაშვილის მეთაურობითა და მსახიობ კოლა ციციშვილისა და ადგილობრივ სცენის მოყვარულთა მონაწილეობით. შიგა და შიგ სხვა მსახიობებსაც იწვევენ.

✦ **ქუჩები.** კარგს მდგომარეობაში ვერ არის. დიდს ქუჩას, მაგალითად, ორთავე მხარეს მშვენიერი რუ ჩაუდის. მაგრამ ქუჩის მორწყვას იშვიათად ნახავთ. მუდამ მტვერია და მხოლოდ მტვერი.

✦ **ქუჩების განათება** ძალზე მოიკოჭლებს. ელექტრონის სინათლეს მუდამ ციმციმი გააქვს და ხან და ხან სულაც ჩაქრება ხოლმე.

## ქ უ თ ა ი ს ი.

✦ ქონებრივ ცენზიანების საარჩევნო სიები ქუთაისში უკვე დამთავრდა. ქალაქის გამგეობამ, პირველ საპოლიციო უბანიდან ჩარიცხა 571 კაცი, მეორედან—1224 კაცი, მესამედან—2209 კაცი.

✦ სამშაბათს, ჩვენი დამსახურებული მსახიობი შალვა დადიანი და ახალგაზდა მხატვარი კოტე ქავთარაძე სხვათა პირების დახმარებით ქალაქის თეატრში გამართავენ ფრიად საინტერესო საღამოს იაკობ გოგებაშვილის პატივსაცემად. საღამოს შემოსავლის 10% მოხმარდება იაკობის სახელობის ...

✦ ქუთაისის გუბერნატორმა, აკაკი პაპავას ნება დართო წაიკითხოს ლექცია—ხონში, ოზურგეთში და ჭიათურაში: „ძველი და ახალი მწერლობა“.

✦ ქუთაისის მაზრის უფროსი ამ დღეებში ქუთაისიდან გაემგზავრება მაზრაში, ზოგიერთ სასოფლო საზოგადოებების დასათვალიერებლად.

✦ ქუთაისის ბაზარზე **პარკის** შემოტანა საგრძნობლად იკლო. დღეში საზოგადო სასწორზე ამ ჟამად იწონება მხოლოდ 50-100 ფუთი პარკი. პარკის ფასმა ისევ დაიწია, იყიდება ფუთი 13 მ. 50 კ.

✦ როგორც გვატყობინებენ ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ სოფლებიდან—წელს სიმინდის მოსავალს ყველგან კარგი პირი უჩანს.

✦ ამ დღეებში ქუთაისში ჩამოკლენ მოსკოვის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის მოწაფენი, რომელთაც განუზრახავთ ქართულ მეურნეობის შესწავლა. მოწაფეებს ახლავს აგრონომი მეიტი.

✦ ტფილისში მოსამსახურე ბ.ბ. ილია არჩვაძისა და ალფეზ დავითულიანის თაოსნობით ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქტორი ბ-ნი იასონ გაბილაია ამ თვის 15-დან წაიკითხავს ლექციებს და მოაწყობს კოოპერატიულ საზოგადოებებს რაჭის შემდეგ სოფლებში: სხვავაში, ამბროლაურში და ბუგეულში. სასურველია, რომ სხვებიც წაბაძავდნენ მათს მაგალითს და რაჭის სხვა სოფლებშიც მოაწყობდნენ ლექციებს კოოპერაციაზე. ბ-ნი გაბილაია 19 ივლისს გაემგზავრება რაჭაში.

## სოფლად

✦ **სოფ. ახალი გავაზი.** (თელავის მაზრა) 35 წლის ისაკ გიორგის ძე იმედაშვილმა იქვნეულობის გამო ხანჯლით მოჰკლა თავისი ქალი მატრონა, 27 წლისა. მკვლელი შეიპყრეს და სამართალში მისცეს.

✦ **სოფ. პონა** (სიღნაღის მაზრა) ვასო კობარაშვილი თავის მეზობლის დიმიტრი ფადლაშვილისას მივიდა, უკანასკნელის ცოლი კობარაშვილს გაუმასპინძლდა, ორი ჭიქა არაყი დაალევინა. ამის შემდეგ კობარაშვილს მუცელი ძლიერ ასტკივდა, ორი დღის წვალების შემდეგ გარდაიცვალა. მის ძმას ეჭვი შეეპარა, რომ იგი მოსწამლეს და ამიტომ მთავრობას მოსთხოვა გამოძიება დანიშნონ.

✦ **სოფ. წიფა** (შორაპნის მაზრა) ლუკა ლომსაძემ სოფ. ტყის მცხოვრები პელაგია ლომსაძე გაიტაცა. გამტაცებელი შეიპყრეს და პასუხისგებაში მისცეს.

✦ **სოფ. წრომი** (გორის მაზრა). თავ. დივით ამირაჯიბმა რევოლვერის ხუთი ტყვიით მძიმედ დასჭრა

# კოოპერაცია, როგორც სოციალ-ეკონომიური მოძრაობა.

## I

(რა არის კოოპერაცია და რას ნიშნავს ეგრედ წოდებული საკოოპერაციო მოძრაობა)

უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში ქალაქისა და სოფლის ცხოვრებაში საოცარის სისწრაფით ვრცელდება ახალი ეკონომიური ორგანიზაცია: კოოპერაცია კაპიტალის ნიადაგზე და თვით კაპიტალის წინააღმდეგ.

დასავლეთ ევროპაში საკოოპერაციო მოძრაობას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. იქ უკვე დიდს ძალას წარმოადგენს. კოოპერაციის საშუალებით გუშინდელი უტოპია დღევანდელ სინამდვილეთ ხდება ამიტომაც არის, რომ ამ უკანასკნელ ხანებში მან მიიპყრო იმათი ყურადღებაც, რომელნიც წარმოადგენენ მთელი კაცობრიობის სიამაყეს.

კოოპერაცია სწორედ „სასწაულს“ ახდენს ისეთ უმნიშვნელო ქვეყნებში, როგორიც არის, მაგ., დასავლეთ ევროპის პატარა სახელმწიფო დანია.

20 წლის წინეთ დანიის გლეხობა განიცდიდა უკიდურესს სიღარიბეს, ეკონომიურ გალატაკებისა და განადგურების ხანას.

წინედ სხვა სახელმწიფოებს გაჰქონდათ პური დანიიდან, მაშინ კი დანიის გლეხობა თავის მოთხოვნილობებსაც ვერ აკმაყოფილებდა.

მდგომარეობა თან და თან მწვავდებოდა და საჭირო იყო რაიმე ახალი საშუალების აღმოჩენა. **კოოპერაცია, ანუ შეერთებულის ძალით მუშაობა,** ურთიერთ დახმარება,—აი ის ახალი ძალა, რომელიც წამოაყენა თვით ცხოვრებამ და რომლის იდეა, იმავე დროს, შემოიჭრა დანიაში ინგლისიდანაც.

ამ წერილის საგანს არ წარმოადგენს დანიისა და სხვა სახელმწიფოების კოოპერატიული ცხოვრების მიმოხილვა და ამიტომ აღვნიშნავ მხოლოდ გაკვრით, რომ 1883 წლიდან დაწყებული კოოპერაცია საოცრად იზრდება დანიაში და ამ ჟამად მან კიდევაც მიაღწია განვითარების უზენაესს წერტილს!

თანამშრომლობისა და თვით-მოქმედების იდეა ობობას ქსელსავით მოედო მთელს დანიას: გარდაჰქმნა მისი სოციალური და ეკონომიური პირობები და ამ პაწია სახელმწიფომ დიდი საპატიო ადგილი დაიჭირა სახელმწიფოთა ურთიერთ დამოკიდებულებაში.

გლეხობა არამც თუ მოღონიერდა, არამედ გამდიდრდა კიდევაც; არამც თუ თავისუფლად გრძნობს თავის თავს, არამედ მთელ სახელმწიფოს ფაქტიური ბატონ-პატრონია.

ოფიციალურ სტატისტიკით 1904 წ. დანიაში ყოფილა 1788 კოოპერატივი, ხოლო 4 წლის შემდეგ, 1908 წელს—3666. აქ საგულისხმოა ის, რომ დანიაში მცხოვრებთა რიცხვი ძლივს აღემატება ერთ მილიონს (ქართველების რიცხვი კი მილიონ ნახევარზე მეტია!) დანიის ტერიტორია ნაკლებია საქართველოს ტერიტორიაზე და მდებარეობისა და ჰავის მხრივ წარმოადგენს ბევრად უარეს პირობებს, ვინემ საქართველო.

რა თქმა უნდა, კოოპერაცია ნაკლებს ძალას არ წარმოადგენს დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებში: ინგლისში, გერმანიაში, იტალიაში და სხვა. სულ რაღაც ნახევარ საუკუნისა, ხოლო სოფლებში—მეოთხედ საუკუნის განმავლობაში ის მსოფლიო მოძრაობად იქცა და უკანასკნელ ხანებში კოოპერატიის იდეა რუსეთსა და საქართველოსაც მოედო. სრულიად რუსეთის კოოპერატორთა კრებამ პეტერბურგში და კოოპერაციის ბრწყინვალე დღესასწაულმა მოსკოვში—სახალხო ბანკის გახსნამ-მთელ ქვეყანას ამცნო, რომ კოოპერაცია რუსეთშიაც ძალას წარმოადგენს.

ასეთია კოოპერაციის ძალა და მნიშვნელობა და მართალი იყო ბ-ნი ტოტომიანცი, როდესაც ერთი მოხსენება დაამთავრა შემდეგის შედარებით: „ისე, როგორც ზღვის პაწია ცხოველების მარჯნებიდან (каралловые лимфы) იზრდება კლდე, რომელსაც ასქდებიან გემები, კოოპერაციაც შეჰქმნის მომავალში ისეთ კლდე-სიმაგრეს, რომელსაც წაასქდება კაპიტალიზმი“...

ასეთ კოოპერაციაზე ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ ჩვენში. თვითეულ თქვენთაგანს არა ერთხელ წაუკითხავს და გაუგონია ეს უცხო სიტყვა, მაგრამ როდესაც საჭიროება მოითხოვს იმის განმარტებას, თუ რა არის ან რას ნიშნავს ეს უცხო სიტყვა-**კოოპერაცია,** გაგება ადვილი საქმე არ არის და მით უმეტეს ერთნაირ პასუხის მიღება.

ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია აღვნუსხო, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ამ სიტყვაში და განვმარტო, თუ რა ადგილი უჭირავს კაცობრიობის ცხოვრებაში საკოოპერაციო მოძრაობას?

დავიწყოთ სიტყვის განმარტებიდან.

თავის არსებობის გასაგრძელებლად ადამიანები ეწევიან მუდმივ ბრძოლას. ისინი შრომობენ, წელზე ფეხს იდგამენ, განუწყვეტელ შრომას ეწევიან, რომ გაიადვილონ, შესძლონ ცხოვრება და აიცილონ ყოველი განსაცდელი. ამ ბრძოლაში ხალხი უკვე გაიწვრთნა და ადვილად იმორჩილებს ბუნებას, როგორც საშუალებას თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ბუნების დამორჩილებამ გამოიწვია ის მდგომარეობა, რომელსაც განიცდის დღეს კაცობრიობა: არ არსებობს შიში არც ყინვისა, არც ცუდი ამინდისა, არც გახელებულ მხეცების...

მაგრამ კარგად ვიცით, რომ ბუნებასთან ბრძოლაში კერძო ადამიანი ძლიერ სუსტ არსებას წარმოადგენს და მხოლოდ თავის საკუთარ ძალღონით ასეთ მდგომარეობას ვერ მიაღწევდა.

კაცობრიობამ მიაღწია ასეთ მდგომარეობას, აშკარაა, იმიტომ, რომ ადამიანები მუშაობდნენ შეერთებულის ძალით, ურთიერთ დახმარებით და არა ცალ-ცალკე. შრომის ასეთი, თუ ისეთი ორგანიზაცია,—აი რას ვხედავთ ჩვენ მთელს კაცობრიობის ისტორიაში.

რამდენიმე ათას წლის განმავლობაში სუფევდა მონობა. ომებისა და სხვა საშუალებებით ატყვევებდენ ადამიანებს, დატყვევებულთ ამუშავებდნენ ისე, როგორც ახლა შინაურ ცხოველებს.

ძველი ათონის (საბერძნეთში) რესპუბლიკაში 30,000 მხედართ ანუ „სრულ უფლებიან მოქალაქეთ“ ეკუთვნოდი 200,000 მონა, რომელნიც ასრულებდნენ ყოველივე სამუშაოს.

იულიოს კეისარის გადმოცემით, გალლიაში მინდვრებს ამუშავებდნენ რკინის ჯაჭვებით დაბორკილი მონები, ზედამხედველთა რკინისვე როზგების ქვეშ.

თითქმის ჩვენს თვალწინ, იულიოს კეისარის ცხოვრებიდან 16 საუკუნეს შემდეგ, ზანგ—მონებს დაახვნევინეს მთელი ამერიკა...

მაგრამ კულტურის განვითარებასთან ერთად,—რაც სამწუხაროდ, ძლიერ ნელის ნაბიჯით მიდის წინ, მონათა ხვედრი ცოტად თუ ბევრად ადვილდებოდა და ბოლოს ევროპაში მონობა შეცვლილ იქმნა სხვა და სხვა ფორმების ბატონ-ყმობით.

მონური ბატონ-ყმური ორგანიზაციები რა თქმა უნდა, არ იყვნენ დამყარებული თავისუფალ შეთანხმების პრინციპებზე. მათ ჰქონდათ ძალადობითი ხასიათი და გამოწვეული იყვნენ იმ დროინდელ კულტურის საჭიროებით. როგორც პირველსა, ისე მეორე შემთხვევაში შრომის „მომწესრიგებლად“ გამოდიოდა რამდენიმე „წარჩინებული“ პირი, რომელთაც უწოდებდენ ბატონებს.

მონების ფიალაც ივსებოდა ხშირად და, რა თქმა უნდა, ახდენდნენ აჯანყებას; ხშირად ეს აჯანყება „გამარჯვებით“ თავდებოდა, მაგრამ არსებითად იცვლებოდა მხოლოდ „ბატონი“, შრომის ორგანიზაცია კი იგივე რჩებოდა. სხვა მათ არც კი იცოდნენ და კულტურის იმ დროინდელ მდგომარეობაში უკეთესის შექმნა არც შეეძლოთ. ბატონყმობაც ისპობოდა თან და თან გაჰქრა, ზოგიერთ ნაშთების გამონაკლისით, მხოლოდ უკანასკნელ საუკუნოებში.

შრომა და ცხოვრება მოეწყო ადამიანთა **პირად** თავისუფლების პრინციპებზე.

მართალია, ძლიერ მკაცრი იყო შრომის წინანდელი პირობები, მაგრამ იმის წყალობით, რომ ეს შრომა სწარმოებდა მაინც ერთნაირი ორგანიზაციის სახით, ამ ნიადაგზე აღმოცენდა აუარებელი ცოდნა და გამოცდილება, შეიქმნა ჩვენი დროის კულტურა. ჩვენმა საუკუნემ ხელი აიღო პირდაპირ ძალადობისაგან და დრომოჭმულ ძალების ნაცვლად განავითარა ახალი საორგანიზაციო ძალა.

ეს, ჩვენს დროში ადამიანების შემაკავშირებელი ძალა, არის-**კაპიტალი.**

შრომის გამანაწილებლად აქაც გამოდიან კერძო პირები-ფაბრიკანტმექარხნენი და სხვა და სხვა მრეწველნი ანუ მათი წრე. ესენი არიან მომუშავეთა ბატონ-პატრონნი. მუშებს მეტი არაფერი დარჩენიათ-რომ დაიქირაონ მათ და, სანამ შესაძლოა, დაემორჩილონ მათს განკარგულებას.

კაპიტალისტურმა ხანამ დიდად შეუწყო ხელი კულტურის განვითარებას—განსაკუთრებით იმით, რომ შრომა ასეთ პირობებში გაცილებით მეტ ნაყოფს იძლევა, ვინემ წინედ. მუშათ საკმაო ძალა, ტეხნიკური გამოგონებანი, სწავლა-განათლება და სხვა-მთელს რევოლიუციას ახდენენ თანამედროვე კულტურაში. ყოველი ახალი გამოგონების განსახორციელებლად საკმაოდ მოიპო-

თავისი მეზობელი ზაქარია სიმონის ძე გურჯიშვილი. დამნაშავე შეიპყრეს და პასუხისგებაში მისცეს.

✦ **სოფ. ძევვი** (გორის მაზრა) 10 წლის გიორგი ფურიაშვილი მდ. მტკვარში ბანაობის დროს უეცრად მორევში ჩაითრია წყალმა და დაახრჩო.

✦ **სოფ. ახალქალაქი** (გორის მაზრა) ისაკ იოსების ძე მამაცაშვილმა თეზაფი გადაასხა სოფიო მამაცაშვილის ასულს და დარჩო ერემიეს, რომელთაც პირისახე ძლიერ დაუშავდათ. მამაცაშვილი შეიპყრეს.

# ნ. მარრის წერილის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ).

„სახალხო გაზეთში" მოთავსებულმა ერთმა უმართლო შენიშვნამ გამოიწვია მთელი აურზაური და, სხვათა შორის, რისხვა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოსადმი მეცნიერის ნ. მარისა *), ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ ფაქტიური მხარე საქმისა გადაუშალოთ თვალ-წინ მკითხველს.

ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ. როცა საზოგადოების წესდებას ვადგენდით, ჩვენი სურვილი იყო წესდება ყოვლად სრული ყოფილიყო, რომ საზოგადოებას ფართო ასპარეზი ჰქონებოდა მოქმედებისა. სრულებით არ ვფიქრობდით, რომ ყველა დარგის განხორციელებას შევუდგებოდით თავიდანვე; კარგად ვიცოდით ადგილობრივ ძალების სისუსტე, ჩვენი მოუმზადებლობა და უსახსრობა; ამიტომ უახლოეს მიზნად დავისახეთ ის, რისაც, ასე თუ ისე, გაკეთება კარგად თუ არა, გვარიანად მაინც შეგვეძლო. საბჭო სრულებით არ ფიქრობდა განყოფილებების გახსნას საამდღეოდ. ჩვენმა საზოგადოებამ თავის მიზნად ჯერ-ჯერობით გაიხადა შეგროვება და გადარჩენა ხელნაწერებისა, რომლებიც ვვეცლება ხელიდან და იღუპება, შეკრება დ გამოქვეყნება სიგელ-გუჯართა, რომლებიც ასე უწყალოდ ისპობა დ დღითი-დღე იკარგება დ აგრეთვე შეგროვება ნივთებისა და ჩვენი კულტურული ნაშთებისა ქართულ მუზეუმისათვის. ცოტა მოვასწარით ამ დარგში ამ ხუთი წლის განმავლობაში, თუ ბევრი, ეს საზოგადოებისათვის მიგვინდვია. თუ ამას დაუმატებთ ხუთ დიდ კრებულის გამოცემას და მასთან ზრუნვას მუზეუმის შენობისათვის, რომელიც დიდ დროს ართმევს საბჭოს ზოგიერთა წევრებს, დამეთანხმებით, რომ საყვედური იმისა, თუ რად არა ხსნით სხვა და სხვა განყოფილებებს, რომელნიც წესდების ძალით მინიჭებულნი გაქვთ, მეტია, უადგილოა. განყოფილებების ანუ სექციების გახსნა, როდესაც შესაფერი მომზადებული ძალები არა გვყავს, მეტ ტვირთად დააწვება საზოგადოებას. ბევრის მიმდევარი ცოტასაც ვერ გააკეთებს. რა გამოვა იმით, რომ სექცია, ქაღალდზე არსებობდეს და საქმით კი არაფერს აკეთებდეს. ასეთი იყო სალინგვისტო სექცია, რომელიც გაიხსნა 1908 წ. დავით კარიჭაშვილის წინადადებით და თაოსნობით. ბ-ნი კარიჭაშვილი მაშინ დარწმუნებული იყო, რომ სექცია იხეირებდა, დიდ ნაყოფს მოიტანდა და სალექსიკონო მასალას შეგვიკრებდა, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა. სექციაში მოიყარა თავი ყველა იმ პირებმა, რომელნიც ლინგვისტიკის მცოდნედ ითვლებიან ჩვენში. პირველ წელს სექციას კიდევ სიცოცხლე ეტყობოდა, რამდენჯერმე კრება გამართეს. რეფერატები წაიკითხეს, მაგრამ შემდეგ საქმე მინელდა, დაპირებული რეფერატები არავინ წარმოადგინა, მდივნობა არავინ იკისრა, კრებები ველარ გამართეს და სექცია თავის-თავად დაიხურა. ეს იყო მიზეზი, რომ ამ წლის 23 ივნისის საბჭოს კრებაზე სექციის თავმჯდომარემ დავით კარიჭაშვილმა განაცხადა: „რადგან დავრწმუნდი, რომ სალინგვისტო სექცია ყოვლად უნაყოფოა და ჯერ-ჯერობით ასეთი სექცია მეტია, სექცია გაუქმებულად ჩაითვალოს.

ამ განცხადების განხილვის დროს იუსტინე აბულაძე და ზოგი სხვებიც პირველად იმ აზრისანი იყვნენ, რომ სალინგვისტო სექცია განახლებულიყო, გაცხოველებულიყო და ეკისრა სალექსიკონო მასალის შეკრება, მაგრამ შემდეგი მსჯელობიდან გამოირკვა, რომ საქმისათვის უმჯობესი იქნება, თუ ასეთი მასალის შეკრების ხელმძღვანელობას ფორმალურად მაინც თვით საბჭო იკისრებდა სპეციალისტთა დახმარებით. საბჭოს უფრო ეხერხება კრებების და კომისიების მოწვევა, საბჭოსათვის უფრო ადვილია მიმართოს სპეციალისტებს და დაავალოს მათ მასალის შეგროვება, გაგზავნოს მცოდნე პირები სხვა და სხვა კუთხეში სიტყვების და სახალხო პოეზიის ჩასაწერად და სხვა. ამ მოსაზრებით საბჭოს წევრებმა ერთხმად გადასწყვიტეს: სალინგვისტო სექცია გაუქმებულად ჩაითვალოს სექციის თავმჯდომარის მოხსენებისამებრ და მისი ფუნქციები ისევ საბჭოს გადაეცეს, მაგრამ რაკი თავ მიზნად სალექსიკონო მასალის შეგროვება გვქონდა, იმავე სხდომაზე დავადგინეთ, მოგვეწვია კერძო მცოდნე პირთა კრება და გამოგვემუშავებინა საერთო პროგრამმა მოქმედებისა, თანახმად ნ. მარრის წინადადებისა, სამეცნიერო აკადემიის სახელით, რომელიც ჯერ კიდევ 1910 წელს მივიღეთ და სალინგვისტო სექციას გადავეცით ასასრულებლად; მაგრამ სექციას არ აუსრულებია წინასწარ გეგმის შედგენა. ამ კრებისათვის ვთხოვეთ იუსტინე აბულაძეს და მასვე დავავალეთ, შეეკრიბა ამ საქმის მცოდნე და გულშემატკივარნი პირნი, ვისაც ის საჭიროდ დაინახავდა, რომ მათ განეხილათ და გამოემუშავებინათ გეგმა მოქმედებისა და სალექსიკონო მასალების შეკრებისა. ბ-მა ი. აბულაძემ ეს საქმე იკისრა და 25 ივნისს კიდეც მოხდა სხდომა ამ გარეშე პირთა, თანადასწრებით გამგეობის ოთხი წევრისა. კრების დაწყებამდის საბჭოს მდივანმა იკითხა; ეს კრება საბჭოს კრებაა, თუ კერძო კრება?, თუ კერძო კრებაა, მდივანი უნდა ამოირჩიონო. ჩვენ განვმარტეთ, რომ ეს კერძო კრებაა მცოდნე პირთა გეგმის გამოსამუშავებლად, თანადასწრებით საბჭოს წევრთა. კანონიერ საბჭოს კრებას არა ნაკლებ ხუთი წევრისა უნდა დაესწროს, და ამიტომ კერძო მდივანიც ამოვირჩიეთ საამდღეისოდ ბ-ნი ი. სონღულაშვილი. თავმჯდომარეობდი მე, რადგან კრება საბჭოს სახელით იყო მოწვეული. ბ-ნ ი. აბულაძეს, თანახმად მონდობილობისა, უნდა წაეკითხნა გეგმა მოქმედებისა სალექსიკონო მასალის შესაკრებად, მაგრამ ამის მაგიერ მან წაიკითხა ის მოხსენება კომისიის შედგენის შესახებ სალექსიკონო მასალის შეკრებისათვის, რომელიც დასტამბულია „სახალხო გაზეთის" № 640-ში, რაკი დავინახეთ, რომ ბ-ნ აბულაძეს სურს საუბარი კომისიის შედგენისათვის, ჩვენც თათბირი გავმართეთ წამოყენებული საკითხის თაობაზე. თუ ეს კრება ამჯობინებდა, ცალკე კომისია, ანუ სექცია, გინდ ორგანიზაცია (სახელში არა არის საქმე) შეგვექნა გარეშე საისტორიო და საეთნოგრაფიო საბჭოსი ან ისევ ჩვენ საზოგადოებასთან, როგორც განყოფილება, ჩვენც ამ გადაწყვეტილებას საბჭოს წარუდგენდით დასამტკიცებლად.

(დასასრული იქნება)

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე

**ე. თაყაიშვილი.**

*) იხ. „სახ. გაზეთი" № 635.

# ზელიმხანის თავგადასავალი

გაზ. „რეჩში" დაბეჭდილია რამდენიმე თავგადასავალი ზელიმხანისა. ამბავს მოუთხრობს ვ. ბერნშტამი.

პირველი ამბავი, ვითომ კავკავის რკინის გზაზე მომხდარა.

აი, სწორედ სამი ოთხი დღის წინად, ვაგზალში გამოჩნდა ერთი მოხუცებული მღვდელი და ჩემოდანი მოჰქონდა. ჩემოდანი მძიმე იყო და ძლივს მოათრევდა, სადგური ძლიერ პატარაა, ბარგის გადამზიდავი სულ ორი-სამი კაცია და მათაც არ ეცალათ. სადგურის უფროსი დაინახავს ამ მღვდელს და მიუახლოვდება:

— მამაო, მომეცით, გიშველით...

— არა, არა, მე თითონ წავიღებ...

— მაკურთხე მამაო, მაკურთხეო, ეუბნება უფროსი და ხელზედაც ემთხვევა. ამავე დროს ვაგზალში ყოფილიყო იმ მიდამოების უფროსი. იგი ჩამოსულიყო სადგურზე იმისათვის, რომ გაეკრა განცხადებანი ზელიმხანის ძებნისა და მისი დამჭერისათვის საჩუქრის გადადების შესახებ. დაინახა თურმე მღვდელი და ეუბნება:

— „მამაო, მე მოგეშველებით. უეჭველად მოგეშველებით"...

— „ჰა, წაიღე შვილო, წაიღე", უპასუხებს მღვდელი. უფროსი ხელზე ემთხვევა და ჩემოდანს ზევით აიტანს.

ეს მღვდელი წავა და მეორე დღეს ასეთი წერილი მიუვა იმ ნაწილის უფროსსა: „ყური დამიგდე, უფროსო! შენ ხომ მე დამეძებ, განცხადებაც კი გამოგიკრავს. ახლა იცოდე ესა: ის ჩემოდანი, შენ რომ გუშინ ვაგონში შემოიტანე, პატრონებითა და ტყვიოებით იყო სავსე, ერთი ტყვიათაგანი შენც მოგხვდება შუბლში იქამდე, ვიდრე მოძებნიდე. ზელიმხანი".

ახლა მეორე ანეგდოტიც მოისმინეთ.

ერთი მოხუცებული ყაზახი გროზნას მიდიოდა და ნახშირი მიჰქონდა გასაყიდად. უცებ შეეყრება ორი ცხენოსანი და დაუძახებს: „შესდექ!" საწყალ მოხუცს ძალიან შეეშინდება და შეჩერდება.

— მე ზელიმხანი ვარო, ეუბნება ერთი, ფული ხომ გაქვს.

საიდან შენი ჭირიმე, გასაყიდად მივდივარ, ქალაქიდან რო ვბრუნდებოდე, სხვა იქნებოდა.

— მაშ აბა ჩქარა, ცხენი გამოუშვი, მოგვეცი ჩვენა. საწყალი მოხუცი დაუწყებს ხვეწნა-მუდარას. ყაჩაღებმა ერთი-ორი მათრახი უთავაზეს თურმე და ცხენი წაიყვანეს. დაჯდება მოხუცი და მწარედ ტირის. ჰხედავს, სამი ცხენოსანი კიდევ მოდის.

რასა ტირი, მოხუცო, შეჰკითხებიან.

— „როგორ რასა, შენი ჭირიმე, ზელიმხანი დამხვდა, ცხენი წამართვაო.

— დიდი ხანია, უკითხავთ უცნობებსა.

— არა, ბატონო, სულ ახლა იყოო".

— რომ გამოვეკიდოთ, ველარ მოვეწევით, საით წაიყვანეს? შენი ცხენი როგორი იყო?

— იმათ აქეთკენ გასწიეს და ცხენი კიდევ თეთრიაო.

— მაინც რამდენად ჰღირდა?"

— ას მანეთად.

— ჰა, ასი მანეთი, მალე, გამომართვი. ამ სიტყვებით ერთს ათთუმნიანი მიუცია მოხუცისათვის. ცხენოსნები გააჭენებენ. ცოტა ხანს უკან მოდიან მოხუცთან და თეთრი ცხენიც მოჰყავთ.

— „ჰა, გყავდეს, თაღლით-ოხრებს დავეწიეთ და წავართვით. ოღონდ შენი გამძარცველნი ზელიმხანი არ გეგონოს, სხვა ოხერის ვიღაცა!"

— ჰა, იწებეთ თქვენი ფულიო, უთქვამს მოხუცებულს და ფული გაუწვდია.

არაო, უპასუხნია ფულის მიმცემსა, ზელიმხანი ღარიბ-ღატაკს არაფერს ართმევს, პირიქით აძლევსო. განა ზელიმხანი შენახარო, უკითხავს მოხუცსა. მაშ! გამარჯვებით, ძმაოო, უთქვამს და სამთავეს ცხენები გაუჭენებიათ.

---

ვება კაპიტალი. ახლად გამოგონილ ტეხნიკის საშუალებით შესაძლო ხდება სამუშაო დღის შემცირება. შრომა კიდევ უფრო მეტს ნაყოფს იძლევა.

მაგრამ ახალი კაპიტალისტური შრომა ძლიერ ცოტად შეეხო კულტურულ ცხოვრების მეორე მხარეს —**პიროვნების დამოუკიდებლობას შრომის თავისუფლებას.** მართალია, როგორც წინედ აღვნიშნეთ, პირდაპირ ძალადობას ახლა არა აქვს ადგილი, მაგრამ მშრომელი ხალხი ჩავარდა ისეთს პირობებში, რომ უთანხმოდ შეუძლებელია მეურნეობის მოწყობა, საკუთარ ორგანიზაციის შექმნა.

ცოტა სხვანაირად მოეწყო საქმე მიწის დამუშავების საქმეში. აქ წვრილი მესაკუთრენი უეცრივ ვერ ვარდებიან კაპიტალის კლანჭებში, სამაგიეროდ, შრომის ბარაქიანობა ამ დარგში ძლიერ ნაკლებად იზრდება.

მრეწველობის ზრდა-განვითარება კი სწორედ განცვიფრებას იწვევს. გადაავლეთ თვალი უკანასკნელ 70—100 წ., — რაც კაცობრიობის ისტორიისათვის წარმოადგენს ერთი თვალის დახამხამებას,—და დარწმუნდებით, რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაში ცხოვრების პირობები გაცილებით უფრო მეტად შეიცვალა, ვიდრე წინეთ მრავალ საუკუნოების განმავლობაში; მცხოვრებთა რიცხვის საოცარი ზრდა, რკინის გზისა დ გემების გამოგონება, საერთო განათლება, პოსტა-ტელეგრაფი, ჟურნალ-გაზეთები, შემნახველ-გამსესხებელი კასები, ბანკები, დაზღვევა, ყოველნაირი საზოგადოებანი და კავშირები და ბოლოს პიროვნებისა დ ქონების უზრუნველყოფა და სხვა. ყველა ამან ძლიერ გააადვილა ადამიანთა დაახლოვება.

ადამიანთა ამ გარეგნულმა დაახლოვებამ გამოიწვია მათი ზნეობრივი და სულიერი დაახლოვებაც. გაადვილდა ურთიერთის გაგება, ყველაფერი უფრო საზოგადოებრივ ხასიათს იღებს, საერთო მიზნის და ინტერესების მისახწევი საშუალებანიც უფრო ხელ-მისაწდომი და ერთნაირი ხდება.

ბოლოს თვით საორგანიზაციო კაპიტალმაც იცვალა სახე. წინეთ წარმოება—მრეწველობის გამგეთ გამოდიოდნენ კერძო პირები ანუ მათი წრე. ამ უკანასკნელ ხანებში კი აარსებენ უფრო **უსახელო** სააქციონერო საზოგადოებებს, კავშირებს, სინდიკატებს და ტრესტებს. ამნაირად, კაპიტალიც ღებულობს ხასიათს საზოგადოებრივ დაწესებულებებისას.

ცხადია, ასეთი პროგრესი შესაფერ მიმართულებას უკარნახებს შრომის იმ ორგანიზაციასაც, რომელიც არსდება წევრთა ურთიერთ დახმარებისათვის. კაპიტალისტურმა წყობილებამ თვითონ მოამზადა თავისი მემკვიდრე, გაუწმინდა მას გზა ისე— როგორც ეს მოახდინეს წინანდელმა ორგანიზაციებმა.

ახალი კულტურის საშუალებით წარმოიშვა და საოცარის სისწრაფით ვრცელდება ახალი ეკონომიური ორგანიზაცია, რომელიც კაპიტალით თვით კაპიტალს ებრძვის და ლამის გარდაქმნას არსებული პირობები, დაამყაროს ახალი სოციალური განწყობილება.

ახალი ხანის შემაკავშირებელი ახალი ძალა არის **კოოპერაცია.**

პირდაპირ რომ ვთარგმნოთ, **ეს უცხო სიტყვა ნიშნავს თანამშრომლობას, ურთიერთ დახმარებას, შეერთებულის ძალით რისმე გაკეთებას.**

როგორც დავინახეთ, თანამშრომლობა მომდინარეობს მას შემდეგ, რაც კაცობრიობას ახსოვს თავისი ისტორია. მაგრამ **კოოპერატიული თანამშრომლობის ახალი თვისება მდგომარეობს იმაში, რომ აქ ორგანიზატორის როლი ეკუთვნის არა შრომის გარეშე მდგომს კაპიტალს, მით უმეტეს—არა ძალდატანებას, არამედ მეურნეობის ამა თუ იმ დარგში დაინტერესებულ პირთა თავისუფალ კავშირს.** ასეთ კავშირში შრომის ნაყოფი მიაქვს არა კაპიტალს, არამედ თვით მშრომელებს. ესენი ნებაყოფლობით და თითქოს შეუმჩნევლად აგროვებენ თანხას წარმოება-მრეწველობის განსავითარებლად, თანდათან იუმჯობესებენ ცხოვრებას და ამყარებენ თავიანთ შორის ახალს სოციალურ განწყობილებას. კერძო პირები თავისუფლების პრინციპებზე აარსებენ საზოგადოებას ანუ ამხანაგობას, კერძო საზოგადოებები — კავშირს, ადგილობრივი კავშირები—საოლქო კავშირს; საოლქო კავშირები სახელმწიფო ანუ ნაციონალურ კავშირებს; უკანასკნელები კი საერთაშორისოს...

ჩვენში წარა-მარა გაჰკივიან—გაძვირდა ცხოვრება, გააყალბეს სანოვაგე, გვეწამლება ცხოვრებაო. მაგრამ ვიკითხოთ, ვინ გვიშლის მოვაწესრიგოთ ყველაფერი მიზნის შესაფერად.

რა შეუძლიან აქ კოოპერაციას? მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის პირდაპირი დამოკიდებულება, ყოველივე ჩარჩ-მევახშეების და ზედმეტ შუამავლების ჩამოშორება, შეერთება, შეერთებულის ძალით, ურთიერთ დახმარებით ცხოვრების გაუმჯობესება,—აი მიზანი და აზრი კოოპერაციისა.

ამ ძირიდან ზევით აყოლილს ორგანიზაციაში თანდათან ხორციელდება ადამიანთა შორის ძმური განწყობილების იდეალი. თავისუფალი პიროვნება თავისუფალი პიროვნება თავისუფალ კავშირში, თავისუფალი კავშირი თავისუფალ კავშირებისა. თავისუფალი შესვლა, თავისუფალი გამოსვლა! ეს კი იდეალია თვითმართველობისა, სადაც ყველაზე უფრო კარგად ხორციელდება თვითმოქმედება...

მოუყაროთ ახალა თავი კოოპერატიულ ორგანიზაციის ახალ თვისებებს და ჩვენ მივიღებთ კოოპერაციის ანუ ეგრედ წოდებულ საკოოპერაციო მოძრაობის შემდეგს განმარტებას:

**კოოპერაცია არის ახალი, დამოუკიდებელი და თავისუფალი კავშირი, რომელიც მყარდება შეერთებულის ძალით წარმოებისა და ნაწარმოებს გასანაწილებლის მოწესრიგებით, როგორც ნივთიერი, ისე სოციალური და მასთან ერთად კულტურულ პირობების გასაუმჯობესებლად.**

როგორ უნდა განვავითაროთ ჩვენში ეს მოძრაობა და რა მნიშვნელობა ექნებ ჩვენი ერისთვის კოოპერატიულ თანამშრომლობას,—აი კითხვა, რომელიც იბადება თავის თავად და რომელსაც გავცემ პასუხს შემდეგ წერილში

**იასონ გაბილაია.**

---

# სრულიად რუსეთის ფერშალთა მესამე კრება.

**პეტერბურგში.**

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ვინ არ იცის ვინ არის ფერშალი, რა დანიშნულება აქვს, რა ვალდებულობას ასრულებს იქ, სადაც ექიმი არ არის? ძლიერ ცოტამ იცის თუ რა უუფლებონი არიან ისინი თავიანთ მოქმედება-ექიმობაში. არა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა ისეთი, რომ ფერშალი დაუსჯიათ იმის გამო, რომ ავადმყოფისთვის უექიმნია და დაუსჯიათ იმის გამოც, რომ არ აღმოუჩენიათ საექიმო დახმარება.

ამ უუფლებობას გრძნობდნენ ფერშლები, გრძნობენ დღესაც, მაგრამ არ იცოდნენ რა ექმნათ. შესჩიოდნენ ექიმებს, სთხოვდნენ დახმარებას, მაგრამ ამაოდ. ექიმები ფერშლებს უყურებდნენ და უყურებენ დღესაც, როგორც თავიანთ ხელზე მოსამსახურეებს. ფერშლებმა შესაფერი შუამდგომლობა აღძრეს უმაღლეს მთავრობასთან, რომ იმათთვის მიეცათ კრებების ნება, თავიანთ ჭირ-ვარამის გამოსარკვევად.

4 მარტს 1906 წელს უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო ფერშლებს კრების მოწვევისა დ 1907 წ. იანვარში იქნა მოწვეული მოსკოვში, პირველი სრულიად რუსეთის ფერშლების საზოგადო კრება.

ამ დროიდან იწყება ფერშლების ცხოვრებაში ახალი ხანა. ამ კრებაზე ჩამოსულნი ფერშლები რუსეთის სხვა და სხვა კუთხეებიდან ეცნობოდნენ ერთი მეორეს. მეორე კრება მოახდინეს კიევში სამი წლის წინედ და მესამე კრება მოხდა პეტერბურგში, 21 ივლისს, 1912 წ ეკატერინეს თეატრში. ჩამოვიდნენ ფერშლები სხვა და სხვა შორეულ-ახლობელ კუთხეებიდან, სოფლებ-ქალაქებიდან წარმოადგენლები ადგილობრივ ფერშლების საზოგადოებებისა, იყვნენ აგრეთვე თავიანთი ნებით ჩამოსულები. 1905 წლიდან გამოდის ქ. მოსკოვში „ფელდშერსკი ვესტნიკ"-ი, მისი რედაქტორ-თანამშრომელნი ფერშლებია ყველა მოხსენებანი ამ ჟურნალში დაიბეჭდა. 20 წელიწადია რაც არსებობს მეორე ჟურნალი „ფელდშერ"-ი, მაგრამ ის გამოდის ექიმ ოკსის რედაქტორობით.

21 ივლისის კრება გახსნა ფერშალმა კალინინმა „ფელდშერ. ვესტ."-ის რედაქტორმა. მისალოცი დეპეშები იყო როგორც ფერშლების ადგილობრივ საზოგადოებათაგან, ისე გარეშე პირებიდანაც. მიულოცა კრებას ექიმმა ოკსმა „ფელდშერ."-ის რედაქტორმა. მერმე მიულოცა ხარკოვის საფერშლო სკოლის დირექტორმა ექიმმა ალექსეევმა და უსურვა კრებას ნაყოფიერი მუშაობა; ალექსეევმა, სხვათა შორის სთქვა: ვესწრები კრებებს იმიტომ, რომ უფრო კარგად შევისწავლო ფერშლების ცხოვრება და მიმართულება, ეს გამიადვილებს სკოლაში მეცადინეობასო.

კარგი იქნებოდა, რომ ტფილისის საფერშლო სკოლის დირექტორსაც მიექცია ყურადღება ფერშლების კრებისათვის და კრებას დასწრებოდა, მით უმეტეს, რომ ტფილისის საფერშლო სკოლა უკან სდგას რუსეთის ნორმალურ საფერშლო სკოლებზე. ამიტომ იყო, რომ მთელმა კრებამ სასურველად სცნო, გადაკეთდეს ტფილისის საფერშლო სკოლა.

**რ. ჩხარტიშვილი.**

პეტერბურგი.

# ლენის ამბები

მუშათა პირველი წყება, რომელიც 3 ივლისს უნდა წასულიყო დაგვიანდა. ჰფიქრობენ, ლენის ამხანაგობამ განგებ დააყოვნა იგინი და ზანტად უსწორებს ანგარიშს და ამასთანავე უღვთოდ ატყავებს მათ. 8—16 მან. მაგიერ, რომელიც გაფიცვის დროს საზრდოსთვის დაუჭირეს მუშებს და რომელიც ახლა გუბერნატორის განკარგულებით უნდა დაუბრუნონ, აძლევენ მხოლოდ 5 მანეთს. ზოგს კი სრულიად არ აძლევენ და ჰპირდებიან გამგზავრების დროს საგზაო ფულთან ერთად მოგცემთო. სახარჯო ფულის განაწილება ხომ მთლად არეულ-დარეულია განზრახ მაგ. უცოლოები იღებენ დღეში 57 კ. ცოლიანები კი—1 მ. 14 კ. ლენის ადმინისტრაცია კი წინაამდეგ [illegible] ხვედრ ფულს უცოლოებს აძლევს უცოლოებისას [illegible] როებში და ნავთსადგურზე საშინელი კვნესა-ტირილია: საზრდოს მიცემა მოსპეს და მუშები მშიერი ჰყრიან, ხოლო იმ ქალებსაც აღარ აძლევენ შემწეობას, რომელთა ქმრები, ჭრილობების გამო, დღესაც საავადმყოფოში არიან.

4 აპრილის ამბების გამოძიების დაწყებისათანავე სენატ. რევიზია დარწმუნდა, რომ ლენის ამხანაგობა სიმართლის დასაფარავად ცდილობდა ყალბი ნივთიერი საბუთები შეედგინა.

დაუქირავებიათ თურმე მუშები ლობეების დასამტვრევად, ქლეტის ადგილს დაუყრიათ ბოჭკებისა და აგურის ნამტვრევები, თითქოს შეტაკების დროს მუშები შეიარაღებული იყვნენ და ჯარიც იძულებული იყო თავის დასაცავად იარაღისთვის მიემართაო.

როდესაც სენატ. მანუხინს წარუდგინეს ასეთი „საბუთები", მიუხედავად იმისა, რომ იგი ძლიერ თავდაჭერილი კაცია, ველარ მოითმინა და წამოიძახა:

— ცხრა აგური და 3000 მუშა! ეს ხომ დაცინვაა გამოძიებისა!

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ**

9 ივლისი.

**სპარსეთი.**

**თავრიზი.** პოდპოლკოვნიკის რადჩენკოს რაზმი დუზანიდან მეშკინის მხარეს წასულა აგარის ემირ ხიშმეთთან შესაერთებლად. 4 ივლისს სუმარში ჩასულა სპარსელთა დამსჯელი რაზმი (400 კაცი) არტილერიითა და გენერალ ფედროვის რაზმს ახლო დაბანაკებულა. არდებილის რაზმში 1600 კაცია. ამ 1600 კაცში 600 ეცდება არდებილთან ურთიერთობა არ მოსპოს.

აქედან მეორე რაზმი წავიდა აგარელების დასახმარებლად.

სერაბის გუბერნატორმა შაჰსევანთა ტომის მუღანლუს მამასახლისი მირალიხანი დააპატიმრა და ბორკილები დაადო.

არდებილიდან იუწყებიან, გუშინ ღამ რუსის რაზმი ელიკედუბს წავიდაო. რაზმს ჰმოთავეობს გენერალი ფედროვი, სიმრანში დარჩენილა რაზმის ნაწილი. დღეს რეშიდ-ულ-მულკის 800 კაცი სოფლებში წავიდა და ჰსურს შაჰსევნების ყურადღება ელიკედუკს მოაშოროს.

**პუანკარეს სიტყვა.**

**პარიზი.** პუანკარემ ქერარმერეში სიტყვა წარმოსთქვა; მთავრობა, საგარეო პოლიტიკას რომ აწარმოებდა, ყოველთვის სცდილობდა მეგობრობის დაცვასა. მთავრობამ კარგად იცის მშვიდობიანობის ფასი, მაგრამ იცის ისიც რომ მეგობრობასა და კავშირს მხოლოდ ძლიერის სახელმწიფოისას აფასებენ, აიმტომ ვცდილობდით ფლოტი და სამხედრო ძალა საფრანგეთისა გაგვეძლიერებინაო.

**ალბანელთა აჯანყება.**

**პრიზრენი.** ალბანელები უცებ და სრულიად მოულოდნელად თავს დაეცნენ სანოვაგ-სურსათის მზიდავებს, რომელთაც ნახევარი ბატალიონი იცავდა. ალბანელებს 150 ჯარისკაცი ტყვედ ჩაუგდიათ ხელთა და სურსათიც ვავლად დარჩენიათ. შეიძლება ამ დღეებში ქალაქსაც დაესხნენ თავსა. ორი დღეა ფოსტა არ გასულა.

**იპეკი.** მოელიან არნაუტელების თავდასხმას რიზა-ბეის მოთავეობით.

**მიტროვიცა.** ბაზარი დაკეტილია. პრიშტინელების თანახმა მცხოვრებნი მეჩითში შეიკრიბნენ და გადასწყვიტეს გაუგზავნონ ხონთქარს თხოვნა სამხედრო მოქმედების მოსპობისა და პრიშტინაში კომისიის გამოგზავნის შესახებ.

**უსკიუბი,** უსკიუბის და კუმანოვოს ალბანელთა დელეგატები პრიშტინაში მიდიან. იქვე შეგროვდებიან პრიზრენისა, პეტეცენისა, სენიცისა იპეკისა და შეიძლება ფლევალის ოლქის დელეგატები. მოვლენ აგრეთვე მეამბოხენიც. ბჭობა ექნებათ ალბანელთა საქმესა და კომისიისათვის მოთხოვნილებათა წარდგენის თაობაზე.

კონსტიტუციის გამოცხადების დღესასწაულს, 10 ივლისს დიდი ამბების დატრიალებას მოელიან.

ჯარი ფერიზოვიცაში გროვდება. ალბანელები ძალიან დაიმედებულნი არიან. ხმა დავარდა, ალბანელებს 17 ბატალიონი შეერთებია 30 ზარბაზნითა და 8 ტყვიისმტყრცნელითაო. არნაუტელები იმუქრებიან, თუ მოთხოვნილებებს არ აგვისრულებდა და ავტონომიის საკითხს არ გადასწყეტთ, სტამბოლზე წამოვალთ იერიშითაო.

**ოსმალეთ-იტალიის ომი.**

**რომი.** „სტეფანის საგენტომ" გამოაქვეყნა მთავრობის ცნობა დარდანელში მომხდარ ამბის შესახებ. საქმე ასე ყოფილა. იტალიელთა ფლოტის უფროსს გაუგია, ოსმალეთის ფლოტს განზრახვა აქვს ეგეის ზღვაზე უცაბედად და მოულოდნელად იერიში მიიტანოს იტალიელთა ფლოტზეო. ამის გამო იტალიელთა კრეისრები და ნაღმოსნები ცოტა ჩრდილოეთისაკენ წამოსულან. ნაღმოსანთა ესკადრა სრულიად შეუმჩნევლად მიახლოვებმა დარდანელს. ორთავე მხრით თოფ-ზარბაზანი დაუშენიათ და პროჟექტორებით ანათებდნენ თურმე. ესკადრას მაინც მოუხერხებია ცოტათი წინ წაწევა. როცა იტალიელები დარწმუნებულან, ოსმალნი მომზადებულნი ყოფილანო და ვერც ვერაფეს გავხდებითო, უზარალოდ უკან დაბრუნებულან.

**სტამბოლი.** დარდანელის იერიშის შესახებ მთავრობა შემდეგს იუწყება: სოხანდირეში უნახავთ ხუთი ნაღმოსანი; სამი უკან დაბრუნებულა. ბაიკუშტეპეში ჩაძირული ნაღმოსანი უნახავთ. უნახავთ აგრედვე რამდენიმე საზღვაო ქამარი ზედწარწერით: „გლიბთია".

**იაპონიის იმპერატორის ავადმყოფობა.**

**ტოკიო.** იაპონიის იმპერატორი ძალიან ავად გახდა. ექიმების შემოწმებით იმპერატორს კუჭისა და ტვინის ავადმყოფობა ჰქონია. გუშინ იმპერატორი უგრძნობლად ყოფილა.

**ოსმალეთის პარლამენტი.**

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატაში ცხარე სხდომა იყო. დეპუტატებმა მოითხოვეს, მოვიდნენ და არსებულ მდგომარეობის განმარტება მოგვცენ სამინისტროთა დროებითმა გამგეებმაო. მინისტრები პალატაში არ მისულან.

**საეროვნო კავშირი.**

**ზაგრები.** გამოქვეყნდა საბრალმდებლო ოქმი ორი სტუდენტისა, ათის გიმნაზიელისა, საკომერციო სასწავლებლისა და სასტატო სემინარიის მოწაფეთა შესახებ. მათ ჰბრალდებათ მეფის კომისარის ცუვაის მოკვლის ორჯერ გაზრახვა. საბრალმდებლო ოქმში ნათქვამი არის, ზემოხსენებულნი პირნი ეკუთვნიან სკოლებში არსებულ ორგანიზაციას, რომელიც ბელგრადში არსებულ ომლადინას მოგაგონებთო. მოსწავლეთა ეს კავშირი სცდილობს სერბიისა, ხორვატიისა, ბოსნიისა და დალმაციის შეერთებას და რესპუბლიკის დამყარებასაო. საქმის გარჩევას ივლისის 17 გაათავებენ.

**ავსტრია-ჰუნგრეთი.**

**ბუდაპეშტი.** გრაფი ანდრაში „მადიარ-ხირლაპში" ტისას ეკამათება და პროტესტს აცხადებს პალატის მიერ წესდების შეცვლის გამო. ეს ცვლილება შეუძლებლად ჰხდის ობსტრუქციას. საჭიროაო, ყურადსაღებ საკითხთა გარჩევის დროს ოპოზიციის უმცირესობამ ცოტათი დააყოვნოს ხოლმე მთავრობის სურვილის განხორციელებაო. უნდა ჰუნგრეთი შევიკავოთ, რომ ავსტრიის ყოყოჩინა ინტერესებს ძლიერ ერთგული სამსახური არ გაუწიოსო. ხომ შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ყოველთვის მაგისთანა გულკეთილი ვინმე იქნება ტახტზე, როგორიც ეხლა არისო.

**რ უ ს ე თ ი**

**მანუხინი.**

**ბოდაიბო.** სენატორი მანუხინი თანაშემწეებით ბოდაიბოდან უკვე გავიდა.

**ახალი საცენზურო კანონი.**

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრს ბეჭდვითი საქმის მთავარ გამგეობის უფროსისათვის დაუვალებია, ახალი კანონი შეიმუშავე ბეჭდვითი საქმის შესახებ ახალ სათათბიროში განსახილველად შესატანადაო.

**არჩევნები.**

**პავლოგრადი.** მოხდა პირველი წინასწარი საარჩევნო კრება ოქტომბრისტებისა და მემარჯვენეებისა, მღვდლების თანადასწრებითა და მონაწილეობით. აირჩიეს საარჩევნო კომიტეტი.

# ფ ო ნ დ ი

**იაკობ გოგებაშვილისა.**

მივიღეთ პეტროვსკში
მცხ. ქართველთა შორის
შეგრ. ნ. ნადირაძის მიერ 53 მ. 75 კ.
ტფ. რკ. გზის საქონლის
სადგ. მოხელეთაგან — 12 მ. 15 კ.
იყო დღევანდლამდე — 508 მ. 84 კ.
სულ არის 574 მ. 24 კ.

# ა ნ გ ა რ ი შ ი

**ქ. შ. წ-კ. გამ. საზ. სენაკის განყოფილების გამგეობის მიერ გამართულ სეირნობისა 29 ივნისს.**

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი:

ბალში შესასვლელი ბილეთები 205 მ. 30 კ., შამპანიურის, ბანბანერკების და ვარდების კიოსკებისა, 117 მ. 43 კ., ფოსტის 23 მ. 4 კ., წყლისა და ლუდის 22 მ. 50 კ., ვახშმის 34 მ. 50 კ., ბედის ბოჭკის 87 მ. 16 კ., ქკითხავის ამოგებული 15 მ. 36 კ., ფულად შემოწირული 24 მ. 16 კ. სულ შემოვიდა 529 მ. 45 კ.

ხ ა რ ჯ ი:

ბალის მოწყობა 75 მ. 3 კ., თაიგულები 45 მ. 45 კ., ფოსტა 2 მ. 40 კ., წყალი და ლუდი 13 მ. 30 კ., ვახშამი 25 მ. 69 კ., საგზაო და მუშების საჩუქარი 12 მ. სულ დაიხარჯა 173 მ. 87 კ.

დარჩა წმინდად (529 მ. 45—173 87 კ.), 355 მ. 58 კ.

გამგეობა უღრმესს მადლობას სწირავს ყველას, ვინც თავისი წვლილი არ დაიშურა და ნივთებით, თუ ფულით შეწირულება გამოიღო. გამგეობა საამო მოვალეობად სთვლის მადლობა შესწიროს:

1) კნ. ბაბილინა მხეიძისას, ფრორენცია კალანდარიშვილისას, მაქსიმე მისაბიშვილს—და გიორგი ნადირაძეს—ბალში შესასვლელ ბილეთების გაყიდვისათვის.

2) ალექსანდრა სალაყაიას, ნინო თევზაიას, ევგენი იოკიმიდას, გრიგოლ ძიძიგურს, ერმილე ქეიშვილს, დიმიტრი გაბერქირიას, ლოგუას, გოგოლაშვილს და მაქსიმე მისაბიშვილს შეწირულებათა შეკრებისათვის.

3) ქალბატონთ: კარნევსკისას, ენუქიძისას, არსენიშვილისას, გამყრელიძისას, გაბუჩიასას—ბუფეტის წარმოებისათვის.

4) თავადის ქალს თამარა მიქელაძეს, ქ-ნნ მარუკისას, ეკატერინე ვერულაშვილს, ქ. ავალიანს—კიოსკების წარმოებისათვის.

შემომწირველთა სიები და დაწვრილებითი ანგარიშები დაიბეჭდება ცალკე ფურცლებად და მსურველთ დაურიგდება.

გამგეობის თავმჯდომარე **ო. სოფრიასი**, მისი ამხანაგი **გ. მაღნარაძე**, ხაზინადარი **ა. ჯვადუასი**, მდივანი **პ. ლორთქიფანიძე**, წევრნი: **ნ. ჯიჯიხია**, მღ. **გ. გამზარდია**, **მ. თათარიშვილი**.

# თეატრი და ხელოვნება

**დ. ნოღალევი.** პეტრე-პავლობის მეორე დღეს დ. ნოღალევში ადგილობრივ სცენის მოყვარეთ დათიკო ჩარკვიანის მონაწილეობით დადგეს ვ. გუნიას „სიძე-სიმამრი". წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა, მონაწილეთ მეცადინეობა და მომზადება ეტყობოდათ, თუმცა-და სამეცადინო დრო დიდი არა ჰქონიათ. წარმოდგენის შემდეგ აჩვენეს მაყურებელთ ცოცხალი სურათები, ბოლოს გაიმართა ლეკური; საზოგადოება ბლომად დაესწრო და დიდი ნასიამოვნებიც დაიშალა. სასურველია, რომ ამ ზაფხულს კიდევ რამოდენიმე წარმოდგენა გაიმართოს.

მოსავალს ჯერ-ჯერობით მშვენიერი პირი უჩანს. კარგი ამინდებია.

ადგილობრივი წვრ. კრედ. ამხან. საქმე მშვენივრად მიდის. სასურველია, რომ აქაური ინტელიგენცია მიაქცევდეს ყურადღებას კოოპერაციის მეორე ფორმას—მომხმარებელ ამხ. მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან, რაც თვით ადგილ. ინტ. კარგად მოეხსენება, მხოლოდ ესაა, რომ თაოსნობა გვაკლია.

საჭიროა მეტი შრომა, მეტი სიყვარული საზოგადო საქმისადმი.

**ო.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ჩვენ დაგვიანებულ პასუხს ს. ანაგის წვრილი კრედიტის შესახებ. თქვენს გაზეთში (№ 606) მოთავსებულია სოფელ კარდენახიდან წერილი წვრილი კრედიტის შესახებ, რომლის ავტორი ბ-ნი კარდენახელი, სხვათა შორის ეხება ს. ანაგის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას ღ სწერს: ვითომც არავითარი საქმე არა გვქონდეს რიგიანად გაკეთებული და თუ დროზე არ გავაკეთეთ, დავკარგავთ ნდობას მთავრობასთანაც და ხალხთანაც..

გვაკვირვებს ბ-ნ კარდენახელის „დარიგება". უფრო მეტად გვაკვირვებს, რომ შეცდომაში შეჰყავს რედაქცია და მკითხველი საზოგადოება! ბ-ნო კ—ხელო, საიდან, ან როგორ შეიტყე, ვითომც უხეიროდ გვქონდეს საქმე დაყენებული? ჩვენ, გამგეობის წევრები — გეკითხებით როდის ბრძანდებოდით ჩვენთან და „გაჩხრიკეთ" საქმეები? ჩვენთან არავინ ყოფილა, არც კარდენახიდან და არც-თვით ანაგიდან, რომ ვისმეს გაეშინჯოს „კანცელიარია". გვარიგებ, რომ მთავრობასთან და ხალხთან ნდობა არ დავკარგოთ. დარიგებისათვის მადლობას მოგახსენებთ..,

რომ რიგიანად არა გვქონდეს დაყენებული საქმე, განა შესაძლო იყო, ერთითვის განმავლობაში დაგვერთვებინა 230 წევრი. 6000 მანეთი? ან კი რა უნდა ველაპარაკოთ, როდესაც ის ვერ გაგიგიათ, თუ თქვენს სოფელს რამდენი მიეცა ძირითად თანხად! 4000 მანეთი კი არ მიეცა არამედ—2000 მანეთი.

ს. ანაგის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის გამგეობის წევრების მონდობილობით, გამგეობის წევრი და საქმის მწარმოებელი

**მათე ახმეტელაშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ შეუერთოთ, განსვენებულ გოგებაშვილის ფონდს, რომელსაც ამასთანავე ვარდგენთ 12 მ. 15 კ.

შემომწირველთა სია: ტფილისის რკინის გზის საქონლის სადგურის მოხელეთ თითო მანეთი: ივ. ბოკერიამ, ივ. ყაზახიშვილმა, ი. ქავთარაძემ, ე. სამსონიამ, გ. ჭრელაშვილმა, ს. ტატიშვილმა; ათ-ათი შაური: რ. სვიმონოვმა, დ. მაჭარაშვილმა, ვ. გოგოძემ, ბ. ბურჭულაძემ, გ. ცაგარეიშვილმა; თითო აბაზი: დ. მდივანაძემ, ი. შატბერაშვილმა, კ. ჯაფარიძემ, ი. ჯოხიამ; თითო მანეთი (კამისიონერები): დ. დვალმა და რატიანმა; შ. რატიანმა 30 კ., რ. აზულიანცმა 25 კ., ბ. ბეთანიშვილმა 30 კ.

პატივისცემით **ბ. ბ—ძე.**

მოწყალეო ხელმწიფევ,
უფალო რედაქტორო!

დღეს გამოგიგზავნეთ ფოსტით ხუთი თუმანი, სამი მანეთი და ხუთმეტი შაური (53 მ. ღ 75 კ.) შემოწირული პეტროვსკში მცხოვრებ ქართველთაგან, განსვენებულ იაკობ ს. გოგებაშვილის ფონდის გასაძლიერებლად.

გთხოვთ ეს ფული დანიშნულებისამებრ გადასცეთ და შემომწირველთა სია თქვენს პატივცემულს გაზეთში გამოაცხადოთ.

შემომწირველთა სია: ბ. მარიამულმა 10 მან., ბ. შარაშიძემ 5 მან., **სამსამი მანეთი:** ინჟ.-პოდპოლკ. ჯორჯაძემ, მღვ. შანავაძემ, მღვ. ჯავაშვილმა, (ნოტარიუსი) იაგორაშვილმა, გიორგი ბურლმა, მასწ. არჯევანიძემ, ეკატერინე მანჯაგელაძისამ, გიორგი ბარამიძემ, დავით ქობრავამ და ნ. ნადირაძემ; **თითო მანეთი:** პოდპოლკ. კობეშავიძემ, ქ-ნ მასლოვისამ, ბ. მესხმა, თავ. ჩერქეზიშვილმა, ვლად. ბასიევმა, დ. მაჭავარიანმა, დავით ქუფარავამ და იაშვილმა; **ათ-ათი შაური:** (უსაქმო) ფშავლიშვილმა და (ხაზინადარი) ალექსიძემ.

ჯამი 54 მან.
ფოსტას, გამოსაგზავნი 25 კ.
დარჩა ხალასი 53 მან. 75 კაპ.

გულწრფელის პატივისცემით
**ნ. ნადირაძე.**

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის ფურცლებზე ადგილი დაუთმოთ ამ წერილს. ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოწაფეებისათვის მოგზაურობას საერთოდ და განსაკუთრებით საქართველოში. მე განვიზრახე ჩემდამი რწმუნებულ სკოლის მოწაფეთა ტფილისში წამოყვანა, მაგრამ სამწუხაროდ ათამდე მოწაფის მშობლებმა უსახსრობისა თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო, არ გამოუშვეს რავიანთი ბავშვები, რითაც მათ დიდად დასწყვიტეს გული. წარმოუდგენელია ის განუსაზღვრელი აღტაცება და დიდი შთაბეჭდილება, რომელიც მუდამ სოფლად ნამყოფ ბავშვებზე ვეებერთელა ქალაქმა მოახდინა. სამუდამოდ დარჩებათ პაწაწებს საუცხოო შთაბეჭდილება და მადლობა მათდამი, ვინც შემწეობა გაგვიწია. მადლობას უძღვნით. ბატონ ვილიპე გოგიჩაიშვილს, რომელმაც ნივთიერი დახმარება გაუწია მოწაფეებს და ამით შეძლება მისცა მათ გოგებაშვილის დასაფლავებას დასწრებოდნენ, ა. ფურცელაძეს, რომელმაც მუზეუმები დაგვათვალიერებინა და ბავშვებს წიგნაკები აჩუქა; აგრედვე მადლობას უძღვნით სოსიკო მერკვილაძეს, (დახმარება გაგვიწია და ბავშვებს წიგნაკები აჩუქა) და ბ-ნნი წიძეს, საერთოდ დახმარებისათვის.

მუხურის საზოგადოების (შორაპნის მაზრა) სკოლის მასწავლებელი **გ. დ. ცომაკურიძე.**

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

**(ს ა ზ ა ფ ხ უ ლ ო).**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6. ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: სააგარაკო** მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. ? ს. 40 წ.

**მცხეთიდან: საგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **სააგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

**ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედევანიშვილი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7. ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71 |

## გემების მიმოსვლა

**საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე**

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

1 **ირგვლივ მოსიარული**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარული** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პ ი რ დ ა პ ი რ ი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩს, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტ ფ ი ლ ი ს შ ი ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

## ს ა ნ ა ო ს ნ ო ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა
## კ ა ვ კ ა ზ ი დ ა „მ ე რ კ უ რ ი"

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობპთ საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან** და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**" ტელ. 682.

# განცხადებანი

**ს ა მ შ ო ბ ი ა რ ო**
**თ ა ვ შ ე ს ა ფ ა რ ი**
**თუხარელისა,**

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე ამოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. [illegible]კირტუმოვი.**

(თ. 1037.75)

**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**
**ექიმთა საზოგადოებისა**
**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ალაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ქთოშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნერვებსას სულით-ავადმყოფთ. ელექტრო-ტერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წ ა მ ლ ო ბ ა „606"-ით.**

(0—1253—80)

**ვერა „ბ ა ღ ი ე დ ე მ ი".**

საუკეთესო ჰაერი. შეიძლება ადამიანმა თავისუფლად ამოისუნთქოს. იქვე საუკეთესოდ მოწყობილი ბუფეტი. ალაგობრივი და საზღვარ-გარეთული ყოველნაირი სასმელები. სამზარეულო აზიური და ევროპიული. ვკისრულობთ სადილებისა და ვახშმების გამართვას ყოველ დღე არის „**ცოცხალი თევზი**". დაკვეთა შეიძლება პირადად და ტელეფონითაც.

**ტელეფ. № 296.** პატივისცემ. **კონსტანტინე ი. ბაქრაძე.**

(ტ. 1344.17)

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა !!!

**თევზის მრეწველნი**
**ძმ.**
**ძებველოვები.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**
**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**
**ყურადღება!**

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ სააგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

აგრედვე **ყოველ დღე მოგვდის** საკუთარ სამრეწველოებიდან **ახალ-ახალი ზუთხი, თართი** და **ლოქო.** მაღაზიაში ყოველთვის მოგვეპოვება **მოხარშული დოში, იანი, ჭიპა, გამოსული ზურგიელი:** კავკასიისა, დონისა, ორაგულისა, გვაქვს ყოველნაირი საქონელი და კონსერვები.

(წ.1131.202)

**ექიმი** **ვ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, ს[illegible]შვილისა.

**ეპიმ-[illegible]**
**პ ი რ ვ ე ლ ი კ ე რ ძ ო**
**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606" — 11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. ქ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. აველისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ[ა]ვასარდიანი.**

(წ. 1074.97)

**ქალაქის სააუქციონო**

**ზალა,** (ველიამინოვის ქუჩა). მოძრავ ქონებას მიიღებს **გასასყიდად**, და აგრედვე **შესანახად.** მიღებულ ნივთებში იძლევა ხელის მოსაცვლელად 20 პროცენტს, ხოლო შენახვის ფასად აიღებს 2 პროცენტსა. დღისით 9—3 ს.-მდის. (25.421.19)

**გამოცდილ** **მასწავლებელ ქალვაჟთა ჯგუფი,** რომლის სათავეში დგანან **უმაღლეს სპედაგოგიო სწავლა დასრულებულნი, ამზადებს** ქალ-ვაჟთ **ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისათვის:** სავაჟო და საქალო გიმნაზიებისათვის; კადეტთა კორპუსისათვის; ქართული გიმნაზიისა, რეალური, საკომერციო, სამხედრო, ქალთა საეპარქიო, სატეხნიკო, მიწის-მზომელთა, სააგრონომიო, საფერშლო, სასულიერო და საქალაქო სასწავლებელთათვის; სამასწავლებლო და საბებიო ინსტიტუტისა, სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიისათვის, **ხიმწიფის მოწმობის მისაღებად, საშინაო და სახალხო მასწავლებლად**, აფთიაქის სამოწაფოდ და პირველი კლასის ჩინის მისაღებად. **იქვე იღებენ ანბანის უცოდინარ ბავშვებს.**

**მიმართეთ:** 1) ელისაბედ. ქუჩა, № 23, ბეგურიშვილის ბინა, ნაშუადღევის 4—6 საათამდის, 2) ნიკოლოზის ქუჩა, № 92, ქარცივაძის ბინა, დილის 9—12 საათ., საღამოს 4—6 საათამდის, 3) ავჭალის შუკა (პერეულოკი), № 9, კოლიუბის ბინა. ნაშუადღევის 3—4 საათამდე. (25—[illegible]75—19

!!! გ ა ც ხ ვ ე ნ ი ლ დ ი თ !!!

თქვენი ტანისამოსი სულ ლაქებშია მოთხვრილი, მაშინ როდესაც შეიძლება სრულებით გაასუფთაოთ მხოლოდ იყიდეთ ლაქის ამომყვანი **კ რ ე მ ი**

АВТОМАТИЧЕСКІЙ ПЯТНОВЫВОДНЫЙ КРЕМЪ
„ЧУДОДѢЙ"
ЛЮДВИГА КЕРІЯЙНЪ
БЕЗЪ ТРУДА МЫТЬЯ, ЩЕТОКЪ И ЗАТРАТЫ ВРЕМЕНИ
Ц. 20 и 35 К.
ВЫВОДИТЪ ВСѢ ПЯТНА ИЗЪ ЛЮБОЙ ТКАНИ

**ყოველთვის სუფთად იქნებით.**

იყიდება მხოლოდ კავკას. სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხ. მაღაზიებში: ტფილისში, ბაქოში და ბათომში. (10.125)